

ამბროჯიო ლორენცეტტი. "კარგი მმართველობის ნაყოფი" ფრესკა.
დეტალი: უსაფრთხოების ალეგორია.
1337-1339 წწ სიენა, პალაციო პაბლიკო

ამბროჯიო ლორენცეტტი. "კარგი მმართველობის ნაყოფი" ფრესკა, დეტალი
1337-1339 წწ სიენა, პალაციო პაბლიკო

ამბროჯიო ლორენცეტტი. "კარგი მმართველობის ნაყოფი" ფრესკა
დეტალი: მართმსაჯულების ფიგურა.
1337-1339 წწ სიენა, პალაციო პაბლიკო

„უსაფრთხოების ფილოსოფიური გააზრებისათვის...“

1 ნაწილი

უსაფრთხოების ფილოსოფიური საფუძვლების გაანალიზების აუცილებლობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მოხდეს საერთო სამეცნიერო წარმოდგენების ფორმირება ისეთ რთულ სოციალურ მოვლენასთან მიმართებაში, როგორიცაა რთული სისტემების უსაფრთხოება (მათ შორის სოციალური სისტემები), განისაზღვროს მათი საერთო ნიშნები და მათი ჩამოყალიბების, განვითარებისა და ფუნქციონირების საერთო კანონზომიერება.

უსაფრთხოების გაგების ფილოსოფიური მიდგომა საშუალებას მოგვცემს, მოვახდინოთ უსაფრთხოების ანალიზი, სისტემის მთლიანობაში მისი ონტოლოგიური, გნოსეოლოგიური და ღირებულებითი საფუძვლები.

უსაფრთხოება არის რთული სოციალური სისტემების მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფს მათ მთლიანობას, მდგრად განვითარებას და ეფექტურ ფუნქციონირებას, აგრეთვე იმ ობიექტური პირობების არსებობა, რომელიც ხელს უწყობს აღნიშნულს.

ადამიანი, საზოგადოება, სახელმწიფო იმყოფებიან მუდმივ დიალექტიკურ სისტემურ ურთიერთკავშირში, ახდენენ ერთმანეთზე მუდმივ პირდაპირ თუ ირიბ ზემოქმედებას. სოციალური სისტემის ერთი კონკრეტული ელემენტის უსაფრთხოება გავლენას ახდენს ამ სისტემის სხვა შემადგენლების მდგომარეობაზე, მათ უსაფრთხოებაზე და პირიქით.

უსაფრთხოება, როგორც რთული სისტემური სოციალური ფენომენი, დამოკიდებულია უსაფრთხოების ობიექტის მთლიანობასა და მისი მდგრადი განვითარების ხარისხზე, შესაბამისად პირდაპირ კავშირშია მისი ჩამოყალიბების, განვითარებისა და ფუნქციონირების ობიექტურ პირობებთან. ერთ-ერთი კრიტერიუმი ობიექტური პირობების მდგომარეობის შეფასებისა არის სოციალური სისტემის სიმწიფე. უსაფრთხოების მდგომარეობა ამავდროულად უშუალოდაა დამოკიდებული სუბიექტურ ფაქტორებზე, რომელთა დანიშნულებაა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ანუ სისტემის მთლიანობის შენარჩუნება, მდგრადი განვითარების პირობების

შექმნა და სოციალური სისტემის ოპტიმალური ფუნქციონირება. სუბიექტური ფაქტორების მზადყოფნის ხარისხი და შესაძლებლობები, მოახდინოს არსებული შესაძლებლობების რეალიზაცია, განპირობებულია ობიექტური პირობებით - მდგრადი განვითარების ინტერესებში და უსაფრთხოების სისტემის სრულყოფით, ერთ-ერთი რთულად გადასაწყვეტი ამოცანაა.

ყველაზე რთული მდგომარეობა სოციალური სისტემისა, რომლის უსაფრთხოება ვერ იქნება უზრუნველყოფილი მისი შინაგანი პოტენციალითა და თვითონ სისტემის შესაძლებლობებით და მხოლოდ გარე ფაქტორების (სახელმწიფო, საზოგადოება და ა.შ.) ჩართულობით მიიღწევა, გვხვდება ისეთ სოციალურ სისტემებში, რომლებიც იმყოფებიან ჩამოყალიბების გარდამავალ ეტაპზე. ჩვენთვის ეს აქტუალურია. ასეთ ქვეყნებშია სწორედ გაგება უსაფრთხოებისა, როგორც დაცვა გარე და შიდა საფრთხეებისაგან, როგორც საფრთხის არქონა.

უსაფრთხოება არაა სუბიექტის ინტერესების დაცულობის მდგომარეობა, უსაფრთხოება არაა რაიმეს რამე მდგომარეობა. უსაფრთხოება რთული სოციალური სისტემისა, პირველ რიგში განპირობებულია მისი არსებობისა და სიცოცხლისუნარიანობის პირობებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მთლიანობას, მდგრად განვითარებას და ეფექტურ ფუნქციონირებას ამ სისტემისა, ოპტიმალური მართვის პირობებში.

ამგვარად სოციალური სისტემის უსაფრთხოება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას თვით სისტემის მზადყოფნითა და შესაძლებლობებით, შეინარჩუნოს მთლიანობა და მდგრადობა და გაუწიოს აქტიური წინააღმდეგობა სხვადასხვა სახიფათო შიდა და გარე უარყოფით ზემოქმედებას.

2 ნაწილი

უსაფრთხოება არის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი და კრიტერიუმი სოციალური, ეკონომიკური, ტექნიკური, ეკოლოგიური და სხვა სისტემების ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის.

უსაფრთხოების ფილოსოფიური ასპექტების გამოყოფა მოითხოვს მის ანალიზს სხვადასხვა პოზიციიდან:

ა) ონტოლოგია განიხილავს კაცობრიობისა და მისი ბუნებრივი გარემოს გადარჩენის პრობლემებს;

ბ) გნოსეოლოგია-გვიჩვენებს უსაფრთხოების პრობლემების შეცნობის გზებს;

გ) აქსიოლოგია - განსაზღვრავს იმ ღირებულებებსა და მოვლენებს, რომლებიც უშუალო კავშირშია უსაფრთხოების ფენომენთან, მის ნამდვილ ან წარმოსახვით მნიშვნელობასთან ადამიანისათვის;

დ) პრაქსიოლოგია - სწავლება ადამიანის საქმიანობის შესახებ, მათ შორის უსაფრთხოების სფეროში და რეალურ ცხოვრებაში მისი რეზულტატების რეალიზაცია;

ე) მეთოდოლოგია, რომელიც ხსნის სოციუმისა და მისი გარემოს უსაფრთხოების პრობლემებს.

საზოგადოების ისტორიული მეხსიერება ინახავს სხვადასხვა ეტაპზე რაოდენობრივი და ხარისხობრივი ნიშნით ცვლადი საფრთხეების (მათი აღმოცენების პირობები, შინაარსი) შესახებ

ინფორმაციას. ეს ნიშნავს, რომ წინა გამოცდილება ყოველთვის ვერ იქნება სასარგებლო სოციუმის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, უფრო მეტიც, ახალ სოციალურ-ისტორიულ პირობებში ეს გამოცდილება კარგავს თავის აქტუალობას და მისმა გამოყენებამ შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები მოიტანოს.

ეს ფაქტორები დასაბუთებულად არის ასახული სხვადასხვა ეპოქის მოაზროვნეთა შრომებში. განსახილველ საკითხთან მიმართებაში ისტორიული, ფილოსოფიური და სოციალური ლიტერატურის მიმოხილვა გვიჩვენებს უზარმაზარ ინტერესს თანამედროვე მოაზროვნეებისა უსაფრთხოების საკითხებისადმი.

წარსულის ფილოსოფიური სისტემები მიუხედავად თავიანთი ინდივიდუალური და ორიგინალური მიდგომებისა უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან მიმართებაში აქვთ საერთო ნიშნები, რომლის მიხედვით უსაფრთხოების გააზრება ეყრდნობა ჰუმანურ და ღირებულებით თვისებებს.

დღევანდელ ეპოქაში, უსაფრთხოების პრობლემატიკის ფილოსოფიური გააზრების აქტუალობა განპირობებულია საზოგადოების შესვლით ,,მეგარისკების" (,,რისკების საზოგადოება") ზონაში (უ. ბეკი, ე. გიდდენსი, ნ. ლუმა). განსაკუთრებით დიდ განგაშს იწვევს ისეთი საფრთხეები, რომლებიც დაკავშირებულია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის თანმდევ ნეგატიურ (დადებითთან ერთად) პროცესებთან, რაც იწვევს საზოგადოების და გარემოს მოწყვლადობას. ზემოთქმულიდან გამომდინარე, სოციუმის უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოგვიდგება, როგორც ფილოსოფიური-მეთოდოლოგიური პრობლემა.

დღეისათვის უსაფრთხოების პრობლემის მკვლევარების მიერ წარმოდგენილია უსაფრთხოების ფენომენის გააზრების რამდენიმე მიდგომა:

1) ობიექტური, დაკავშირებული სხვადასხვა ობიექტების (მატერიალური და სოციალური სისტემები) ბუნებასთან, შეინარჩუნონ მდგრადობა (ხარისხი) მათზე უარყოფითი პროცესებისა და მოვლენების ზემოქმედებით, სადაც უსაფრთხოება გაგება, როგორც განსაზღვრული თვისება სისტემისა.
   საკმაოდ აღიარებულია უსაფრთხოების გაგება, როგორც სისტემის თვითრეგულირების ფორმისა, რომელიც საშუალებას იძლევა შეინარჩუნოს თავისი ხარისხობრივი განსაზღვრულობა.

   აღნიშნულიდან გამომდინარე გამოიყოფა:

   - უსაფრთხოების ენტროპიული გაგება, დაკავშირებული დახურული სისტემის შინაგანი პროცესების დინამიკასთან და მიმართულებასთან, მისი შინაგანი ენერგიისა და წესრიგის ზომასთან, უწესრიგობასთან, ორგანიზებულობა-არაორგანიზებულობასთან, რაც განპირობებულია მსოფლიო პროცესებით, ცხოვრების პირობებითა და განვითარებით, მათ

შორისაა ეკოლოგიური კატასტროფები, სტიქიური უბედურობები, ომების მიზეზები კონფლიქტები საზოგადოებაში და ა. შ.

- მისი ჰომეოსტატიური გაგება, როგორც სისტემის მდგრადი მდგომარეობა, რომელიც აღმოცენდა გარემოსთან წონასწორობის შენარჩუნებით (ჰომეოსტაზა}.

2) უსაფრთხოების ფენომენის გაგების სუბიექტური მიდგომა, განაპირობებს უსაფრთხოების არსის სხვადასხვაგვარ განსაზღვრებას, გამომდინარეს სოციუმის ინტერესებიდან.

   უსაფრთხოების სუბიექტური და ობიექტური განსაზღვრულობა ფორმირებას უკეთებს უსაფრთხოების ბუნების გაგების აქსიოლოგიურ (ღირებულებით) საფუძვლებს.

უსაფრთხოების, როგორც ფილოსოფიური კატეგორიის და სოციალური მოვლენის გაგების ძირითადი მიდგომების ანალიზი გვაჩვენებს, რომ არსებობს რამდენიმე მიდგომა:

1) **პირველი მიდგომა** განიხილავს უსაფრთხოებას, როგორც მდგომარეობას, განვითარებას და სისტემის სიცოცხლისუნარიანობის პირობებს, რა დროსაც უზრუნველყოფილია მათი ხარისხობრივი განმსაზღვრელობა ობიექტურად განპირობებულ ინოვაციებთან მიმართებაში და მისი საკუთარი ბუნებისათვის დამახასიათებელი თავისუფალი ფუნქციონირება.

ამ მიდგომის მიხედვით უსაფრთხოება ვერ იქნება აბსოლიტური, ის შედარებითია. თავის აზრობრივ მნიშვნელობას ის იძენს კონკრეტულ ობიექტთან ან ადამიანური საქმიანობის სხვადასხვა სფეროებთან და გარემოსთან ურთიერთობის პირობებში. აბსოლუტიზაციამ პრინციპისა ,,შეინახო" (მდგრადობა, სტაბილურობა) შეიძლება გამოიწვიოს სოციალურ ცხოვრებაში დაბრკოლებები, განითარების შეჩერება, რაც წარმოადგენს საფრთხეს საზოგადოების არსებობისათვის, იმდენად რამდენადაც აბსოლიტურად სტაბილური სიტუაცია არის აბსტრაქცია, რაც განაპირობებს არა მარტო ამ სისტემისა და მისი შემადგენელი ელემენტების უძრაობას, არამედ მის იზოლაციას გარედან რაიმე ზემოქმედებისა. სოციუმის ყველა მდგომარეობა არ გულისხმობს შენახვა/შენარჩუნებას, მხედველობაშია ისეთი მდგომარეობა, რაც განაპირობებს მის პროგრსულ განვითარებას.
განვითარება და უსაფრთხოება - ორი მხარეა საზოგადოებრივი ცხოვრების ერთიანი პროცესისა. უსაფრთხოების შემადგენელი არ უნდა შეეწინააღმდეგოს სისტემის ობიექტურად განპირობებულ ხარისხობრივ და რაოდენობრივ ცვლილებებს, არამედ ხელი შეუწყოს დანაკარგების გარეშე სოციუმმა გადალახოს ცხოვრების მოძველებულუ ფორმები, რომელიც დამაბრკოლებელი მუხრუჭია განვითარების.

2) **მეორე მიდგომა** ტოლობის ნიშანს სვავს უსაფრთხოებასა და სოციუმის დაცვაზე საფრთხეებისაგან. უსაფრთხოების გაგება მხოლოდ ტერმინის ,,დაცვა", ,,დაცულობა"-ს ფარგლებში ავიწროებს მის შინაარსს. უსაფრთხოების შინაარსი საკმაოდ მოცულობითია და გულისხმობს საფრთხეების აღკვეთას, ნეიტრალიზაციას, ლოკალიზაციას, შესუსტებას, შემცირებას, საფრთხის წყაროს გაქრობას და ა.შ.

3) **მესამე მიდგომა** განიხილავს უსაფრთხოებას, როგორც საქმიანობის ფორმას. ამ პოზიციით, ის განიხილება როგორც პროცესი, ანუ სოციუმის საქმიანობის ფორმა, რომელიც მიმართულია

საფრთხეების გამოვლენაზე, გაფრთხილებაზე, შესუსტებაზე, მოგერიებაზე და ა. შ. მხედველობაშია ისეთი საფრთხეები, რომელთაც შეუძლიათ სოციალურ სისტემას მიაყენოს არსებითი ზიანი, წაართვას ფუნდამენტალური ღირებულებები, გადაუკეტოს განვითარებისა და გადარჩენის გზა.

უდავოა, უსაფრთხოების გააზრება, როგორც მხოლოდ საქმიანობის ფორმა, რაც ზემოთ აღვნიშნეთ, არის რეალური დინამიკური ძალა უსაფრთხოების უზრუნველყოფისა, მაგრამ უსაფრთხოება პირველ რიგში არის *რეზულტატი* და არა თვით *საქმიანობის ფორმა*.